

გველისადმი შიში და მისი დაძლევის შესაძლო გზები

ნინო კაიშაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგ-კონსულტანტის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების
სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

აბსტრაქტი

ჩვენი დაინტერესება გველისადმი ადამიანის შიშით და ამ შიშის დასაძლევად არსებული გზებით გამოიწვია შემდეგმა გარემოებებმა:

1. ადამიანი, ქალაქში მცხოვრებიც კი, შესაძლებელია გადაეყაროს გველს და თუ მას გველისადმი შიში ამოძრავებს, გველთან კონტაქტი მეტად სტრესოგენული იქნება. ამიტომ სასურველია ადამიანი ავარიდოთ ამგვარ სტრესოგენულ ფაქტორს.

2. შიში იწვევს საწინააღმდეგო აგრესიას და ადამიანები ხშირად კლავენ გველებს, ანგრევენ მათ ბუდეებს, ანადგურებენ კვერცხებს. ამან უკვე გამოიწვია გველის ზოგიერთი სახეობის რაოდენობის მკვეთრი შემცირება და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ეს სახეობები გაქრეს.

3. გველისადმი შიში ხშირად ძალიან ძლიერი ფორმით ვლინდება იმ პაციენტებში, რომლებიც გადიან ფსიქოთერაპიის კურსს და ეს შიში დამატებით პრობლემებს უქმნის ერთი მხრივ პაციენტს და მეორე მხრივ თერაპევტს.

კვლევის საკითხია: 1. აქვს თუ არა მნიშვნელობა გველების შესახებ ფაქტობრივ ცოდნას გველების მიმართ შიშის ჩამოყალიბებაში და 2. რამდენად ეფექტურია გველისადმი შიშის მქონე ადამიანისათვის კოგნიტური თერაპიის ჩატარება ამ შიშის დასაძლევად.

ჰიპოთეზის სახით გამოვთქვით მოსაზრება, რომ შიშის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს შიშის გამომწვევი ფაქტორების შესახებ ცოდნის ნაკლებობა ან არარსებობა.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს, საშუალო ასაკი 18 წელი, ორივე სქესის წარმომადგენლებს, ვთხოვეთ შეევსოთ ორი კითხავრი (Q), რომელიც შედგებოდა 21 დებულებისაგან გველების შიშზე (Q-1) და 28 დებულებისაგან გველის ანატომიისა და ქცევის შესახებ (Q-2).

სავარაუდოდ, ადამიანებს, რომელთაც ზედაპირული ცოდნა აქვთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გველების ანატომიისა და ქცევაზე უფრო მეტად ეშინიათ მათი იმ ადამიანებთან შედარებით, რომელთაც სწორი ინფორმაცია აქვთ გველების

ბიოლოგიაზე. მიღებული შედეგების თანახმად, ვვარაუდობთ, რომ გველებზე ფაქტობრივი ცოდნა დაეხმარება ადამიანებს გველების მიმართ შიშის შემცირებაში.

კვლევის მონაწილეებიდან შეირჩა ორი ადამიანი, რომლებმაც განსაკუთრებით მაღალი ქულები დააგროვეს გველისადმი შიშის კითხვარის შევსებისას. ამ ადამიანებს ჩავუტარეთ გველისადმი შიშის დასაძლევად შექმნილი კოგნიტური თერაპიის კურსი. თერაპიამ გარკვეული შედეგი მოგვცა მხოლოდ ერთ ადამიანში. რამდენადაც ეს იყო ძლიერ მოკლე კურსი (5 დღე) ვფიქრობთ, რომ კურსის გახანგრძლივების შემთხვევაში თერაპია უკეთეს შედეგს გამოიღებს გველისადმი შიშის დაძლევის თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები - გველი, შიში, ცოდნა, თერაპია

ABSTRACT

We focused on the snake fear and the ways of coping with this phenomenon taking into account the circumstances as following:

1. Human, even city dwellers, may encounter snake and in case of ophidiophobia they may experience strong stress. It is desirable, therefore, to prevent people from the development of the stress of such kind.
2. Fear of snake may cause aggression against the snakes and people use to kill snakes, crush the nests and eggs, that is one another reason for the decrease in the number of snake population and in the future – expected extinction of particular snake species
3. Snake fear is often apparent in patients undergoing the course of psychotherapy and this phobia may make additional problem for both patient as well as psychotherapist.

The study was aimed to answer two questions: 1. To what extent factual knowledge of snakes may influence the fear of snake in humans and 2. Is cognitive therapy effective in reducing the snake fear?

We hypothesized, that ignorance (partial or complete) of fear inducing factor may play significant role in the development of fear.

Academy of Arts students, mean age 18, of both sexes were asked to fulfill two pencil-and-paper questionnaires (Q) consisted of 21 statements referring to the fear of snake (Q-1) and of 28 statements about snake anatomy and behavior (Q-2).

Presumably people having superficial (if any) knowledge of snake anatomy and behavior are more afraid of snakes as compared to those possessing correct information about snake biology. The data obtained suggest proper factual knowledge to help reduce the snake fear.

Two subjects having highest scores in snake fear questionnaire underwent the cognitive course of therapy of snake fear. Therapy was partially successful in one subject out of the two. As long as it was very short course (5 days only), we hope that prolongation of anti snake phobia therapeutic intervention will have positive effect on reducing the snake fear in human.

Keywords - snake, fear, knowledge, therapy